ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 24 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 24 მარტის სხდომის ოქმი N4.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 მარტის N24-242306635 წერილი.

4. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მარტის N24-24230646 წერილი.

5. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მარტის N24-242306945 წერილი.

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 თებერვლის N24-2423047202 წერილი.

7. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

8. **დასკვნა N2**-,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

9. **დასკვნა N3**-ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ.

10. **დასკვნა N4**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ. ზუგდიდი 24 მარტი 2023 წელი
12:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

   მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი;

5. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N4

ქ.ზუგდიდი **24 მარტი 2022 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 24 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ჯონი ჯიქია, სოსო გოგოხია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბელა მოსია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **ედიტა კოდუა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **ლაშა ადეიშვილი**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსი; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ---------- .

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია - 43.03 კვ.მ; სამზარეულო - 8.95კვ.მ; კორიდორი - 6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის) - 20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო

ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი;

5. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 7 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242306635 მომართვა (რეგისტრაციის N12-25230662-25 7.03.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი

საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ N13-2422340131-24 (06.12.2022წ.) და N13-242304787-24 (16.02.2023წ) წერილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის (№3, 28.02.2023 წ.) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 მარტის N24-242306635 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6 კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე და საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 43200 (ორმოცდასამი ათას ორასი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე (უზუფრუქტუარი ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია-43.03 კვ.მ; სამზარეულო-8.95კვ.მ; კორიდორი-6კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის)-20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242306946 (რეგისტრაციის N12-25230693-25 10.03.2023წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N180 განკარგულებით დამტკიცებულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმაში შეტანილ 20 ერთეულ ქონებას დაემატა 5 ერთეული საპრივატიზებო უძრავი ქონება კერძოდ:

1) სოფ. ინგირში მდებარე 83,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N43.18.47.111);
2) ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქუჩა N76-ში მდებარე 45,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N43.31.68.521;
3) ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N20-ში მდებარე 183,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი; N43.31.42.580);
4) სოფ. ჩხორიაში მდებარე 427,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1-საერთო ფართით 198,59კვ.მ; N2 (დანგრეული), N3 (დანგრეული) (საკადასტრო კოდი: N43.01.43.412);
5) სოფ. ჭკადუაშში მდებარე 1003კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-N1-ის (საკადასტრო კოდი: N43.02.41.212) დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენების მატერიალური ფასეულობა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242306945 მომართვა (რეგისტრაციის N12-25230694-25 10.03.2023წ), რომელიც შეეხება ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელწოდებების დაზუსტებას.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის წერილით (რომელიც გამოგზავნილი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან) მოწოდებული ქ. ზუგდიდის 39 ქუჩის არასრულ სახელწოდებებთან დაკავშირებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწყებულ იქნა სათანადო დოკუმენტაციის (ნორმატიული აქტების) მოძიება, რის შედეგადაც ამ ეტაპისათვის ზუსტად დადგენილ იქნა 15 ქუჩის სახელწოდება და მოძიებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით. ასევე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს შესაბამისი დოკუმენტანციის მოძიებას, რაც დამატებით იქნება მოწოდებული. გარდა ამისა, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 იანვრის N4 განკარგულების საფუძველზე - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კიკალიშვილის, რევაზ ლაღიძისა და რევაზ თაბუკაშვილის ქუჩები გაერთიანდა და მიენიჭა რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის სახელი; ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N9 განკარგულებით შევიდა ცვლილება ქალაქ ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის N4 განკარგულებაში, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ განკარგულებას დაემატა 11 პუნქტი, შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რევაზ ლაღიძის შესახვევს მიენიჭა - რევაზ თაბუკაშვილის შესახვევის სახელი, რევაზ ლაღიძის ჩიხს მიენიჭა -რევაზ თაბუკაშვილის I ჩიხის სახელი, ხოლო რევაზ თაბუკაშვილის ჩიხს მიენიჭა - რევაზ თაბუკაშვილის II ჩიხის სახელი."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423047202 მომართვა (რეგისტრაციის N12-252304727-25 16.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სამსახურის უფროსს ლაშა ადეიშვილს კომისიის წევრებს და კომისიაზე დამსწრეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: (მოხსენების პარალელურად მიმდინარეობს სამსახურის ანგარიშის პრეზენტაცია) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივ რესურსებზე და არსებულ ინფრასტრუქტურაზე მონაცემთა ბაზის შექმნას, უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობას, საინვესტიციო აქტივობებისა და საინვესტიციო პორტფელების მომზადებას და მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

სამსახურის მისია არის-ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა და მუნიციპალური სერვისების მიწოდების უწყვეტობა;

სამსახურის ხედვას წარმოადგენს გამჭვირვალე გარემოს შექმნით ეკონომიკური გამოწვევების ეფექტური მართვა.

სამსახურის ღირებულებებია-ვიყოთ პატიოსნები; ყურადღებით მოვეპყროთ მოსახლეობის საჭიროებებს და მოვახდინოთ დროული რეაგირება; ვიყოთ ღია თანამშრომლობისთვის საერთო მიზნების მისაღწევად.

სამსახური შედგება ხუთი განყოფილებისგან;

მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება;

ქონების მართვის განყოფილება;

ტრანსპორტის განყოფილება;

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება;

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება. სულ სამსახურში მუშაობს 27 თანამშრომელი.

წარმოგიდგენთ სამსახურის ანგარიშს განყოფილებების მიხედვით:

მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება: ძირითადი საქმიანობა, რასაც განყოფილება ახორციელებს არის-ბუნებრივი რესურსებზე და არსებულ ინფრასტრუქტურაზე მონაცემტა ბაზის შექმნა; ელ.ენერგიის, წყალმომარაგებისა და ბუნებრივი აირის მომწოდებელ ორგანიზაციებისგან მათი მომსახურების შესყიდვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციების მომზადება; მარავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის (სერვისების) საკითხებზე შესაბამისი სამსახურებისათვის ინფორმაციის მიწოდება. განყოფილებაში დასაქმებულია 4 პიროვნება. განყოფილების ძირითადი სერვისები არის - გაზიფიცირება, ელ.მომარაგება, წყალმომარაგება, წყალარინება, შემოსულ განცხადებებზე რეაგირება.

მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება- განყოფილების ძირითადი პროექტებია-გაზიფიკაცია, ბუნებრივი რესურსები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები. ამ დროის მონაცემებით გაზიფიცირებულია 46 ადმინისტრაციული ერთეული; 2022 წელს გაზიფიცირდა 3 ადმინისტრაციული ერთეული; შესათანხმებლად შემოვიდა თერმული წყლის ერთი ლიცენზია, რომელზეც გაიცა თანხმობა, საუბარია ცაიშის თერმულ წყლებზე; სულ დაფუძნდა 28 ამხანაგობა და დაფინანასდა ამხანაგობის 18 პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 186 223 ლარი.

ქონების მართვის განყოფილება-რომელიც ეწევა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვას და რეგისტრაციას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას; მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას; მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას. 2022 წელს სულ შემოვიდა 923 განცხადება. აუქციონით პრივატიზებულ იქნა 78 ერთეული უძრავი ქონება და 4 ერთეული მოძრავი ქონება; გაფორმდა 19 იჯარის ხელშეკრულება; აღნაგობით გაიცა 5 ერთეული მიწის ნაკვეთი; საკუთრებაში გადმოგვეცა 25 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 15 მოქალაქეს უსასყიდლოდ გადაეცა მათ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ფართები. განყოფილებაში დასაქმებულია 8 თანამშრომელი.

ტრანსპორტის განყოფილება- რომელიც ეწევა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მართვას და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზებას; რეგულარული სამგზავროგადაყვანის დაგეგმარებას, მარშრუტებისა და გრაფიკების დადგენას; სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების პროგრამის შემუშავებაში მონაწილების მიღებასა და მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სქემისა და პოლიტიკის შემუშავებას; გზის სავალ ნაწილზე სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და ღონისძებების ჩატარების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეტა მოძრაობების დროებითი სქემის შეთანხმებას. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისა და შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთობლივი მუშაოების შედეგად ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში განისაზღვრა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების განთავსების ლოკაციები. დამონტაჟდა 169 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, რომლებმაც მოიცვა სრულად ქალაქი და სოფლების ნაწილი (ძირითადი მიმართულებები), რომლის ღირებულებამ შეადგინა 2 684 000(ორიმილიონექვსასოთხმოცდაოთხი) ლარი. წრისა და საგზაო მოძრაობის მართვის სისტემის (საგზაო ზოლის გამყოფი ბარიერის) შესყიდვაზე გაიხარჯა 42 950(ორმოცდაორიათასცხრაასორმოცდათი) ლარი. 1000(ერთიათასი) ცალ სიჩქარის

შემზღუდავ ბარიერზე და 200(ორასი) ცალ საგზაო ნიშანზე გაიხარჯა 67 144(სამოცდაშვიდიათასასორმოცდაოთხი) ლარი. განყოფილებაში შემოსულია 1806 განცხადება, რომლებზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. განყოფილებაში მუშაობს 3 თანამშრომელი.

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება-ძირითადი ფუნქციებია საინვესტიციო პოფილის შექმნა; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებსა და ინვესტორებს შორის შეხვედრების ორგანიზება და კოორდინაცია; მოქმედი დონორებისა და პროგრამების შესახებ დეტალური ბაზის შექმნა და განახლება; საგრანტო განაცხადებზე მუშაობა და პროექტების შემუშავება; მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობა; სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა. განყოფილებამ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ასევე ევრიკავშირის მნიერ დაფინანსებული პროექტის კონკურსში საგრანტო განაცხადის შემუშავება/წარდგენაში მიიღო მომაწილებია და პირველ ეტაპზე გრანტის თანხამ შეადგინა 30 000(ოცდაათიათასი) ევრომ, ხოლო მეორე ეტაპზე 300 000(სამასიათასი) ევრომ. მუნიციპალიტეტი გახდა საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2022 წლის კონკურსის გამარჯვებული-თემაზე: „საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა და განვითარების პროექტებისტვის საერთაშორისო დაფინანსების მოძიების წარმატებული გამოცდილება“, ასევე მოხდა საქართველო-პოლონეტის ერთობლივი პროექტის განხორციელება: „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“. ძირითადი პროექტები, რომელიც განყოფილებამ განახორციელა-1. „საქართველოს რეგიონებისა და თემების გადასვლა მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ-მზის ფოტო ელექტრული სისტემები საქართველოს ქალაქებისთვის“-ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შერჩეულია 5 საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის; 2. „ადგილობრივი თვითმმართველობა სამართლიანობაზე დაფუძნებული მიდგომით“ (შვედეთის ადგილობრივი დემოკრატიის საერთაშორისო სააგენტო)-პროექტში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა; 3. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება. განყოფილებაში მუშაობს 4 თანამშრომელი.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება-მისი ფუნქციებია-ეროვნული ტრადიციებისა და გამოცდილების, ადგილობრივი პირობების გათვალსიწინებით აგრარული პროექტების განხორცილების ხელშეწყობა; მავნე დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, მათი სისტემატიზაცია და ანალიზი; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებების განხორცილებასა და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების ან დასაქმების მსურველი ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა. განყოფილების მიერ 2022 წლის განმავლობაში შეიქმნა დარგში დასაქმების მსურველთა ბაზა; დასაქმდა 20 ახალგაზრდა თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; მეცხოველეობა-მერძევეობის პროგრამაში ჩართვაზე კონსულტაცია გაეწია 350 ადამიანს; ჩვენი დახმარებით ცივი შესხურებით დამუშავდა 4044 ჰა, თერმული ნისლით 2020 ჰა, მოზიდე და მოკალით 4343 ჰა, დამუშავდა ტყის მასივები-8,5 ჰა. შეიქმნა დასაქმების მსურველთა ერთიანი ბაზა 250 დასაქმების მსურველი. მიმდინარეობს ფაროსანას, ასევე სხვა გავრცელებული დაავადებების და მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებები. მეცხოველეობა-მერძევეობის პროგრამაში ჩართვაზე კონსულტაცია გაეწია 350 ადამიანს, დავურეგისტრირეთ პირველადი განაცხადი 60 ბენეფიციარს, საიდანაც მომდევნო ეტაპზე გადავიდა 46 ბენეფიციარი. მიმდინარეობს დაკვირვება/მონიტორინგის გზით ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებზე კლიმატური პირობებით გამოწვეული შედეგების ინფორმაციის შეგროვება. ჩატარდა შეხვედრა თემაზე-ფაროსანას საწინააღდეგო ღონისძიებების (თერმული ნისლი) ზეგავლენა ფიტკრის ოჯახებზე.

მოვახდინეთ 33 ადმინისტრაციულ ერთეულში 1305 ადგილობრივი მოსახლის გამოკითხვა სტატისტიკური მონაცემების განახლების მიზნით. განყოფილების მიერ ორგანიზებულ იქნა რძის პლატპორმის დაფუძნების სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, IFAD-ის, სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტო"-ს და სხვა უწყებების წარმომადგენლები, ასევე მერძევეობის მიმართულებით მომუშავე ფერმერები. განყოფილების მნიშვნელოვანი გზავნილია „ხელი შევიწყოთ შემოსავლების ზრდას სოფლად; ჩვენი ხელშეწყობა სოფლის განვითარებას; სოფელი ჩვენი საზრუნავი." განყოფილებაში მუშაობს 5 თანამშრომელი."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან შენიშვნები ან წინადადები მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „გასულ წელს სიმინდის მოსავალთან დაკავშირებით არსებობდა მთელი რიგი პრობლემები. თქვენი სამსახურის მიერ მხოლოდ ერთხელ შეიწამლასიმინდის ნათესები, რაც არ იყო საკმარისი. მაინტერესებს წელს იგივე პრობლემის აღმოსაფხვრელად თუ გაქვთ რაიმე გეგმა შემუშავებული."

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „აღნიშნული განყოფილება შეიქმნა შპს „აგროსერვისის" გაუქმების შემდეგ. გასაგებია, რომ ის გაუქმდა, რადგან იყო უფუნქციო და ჰქონდა დარღვევები, მაგრამ უფრო კონკრეტულად გვითხარით, რას აკეთებს ახლად შექმნილი განყოფილება, რომ შევაფასოთ."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „პრეზენტაციაში თქვენ ამბობთ, რომ სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები პერიოდულად ხვდებოდნენ მოსახლეობას, რათა მათთვის კონსულტაცია გაეწიათ, თუმცა ჩემს სოფელში (რიყე) მსგავსი შეხვედრის არცერთი ფაქტი არ მახსოვს, შესაბამისად დამისახელეთ თუნდაც ერთი ადამიანი რომელსაც შეხვდით."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ბატონო კახა, შპს „ზუგდიდ აგროსერვისის" გაუქმებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ. პროცედურულად ამ შპს-ს გაუქმება დაიწყო 2020 წელს. ზოგადად, მუნიციალიტეტის ა(ა)პიების და შპს გაუქმებას თავისი წესი და პროცედურები აქვს, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება. რა იყო მოტივი ამ შპს-ს გაუქმების-თქვენ იცით, რომ 27 ადამიანი იყო დასაქმებული და დაახლოებით 320 000(სამასოციათასი) ლარი ჰქონდა ბიუჯეტი შპს „აგროსერვისს". როდესაც მერიის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ მიიღო შპს-ს გაუქმების გადაწყვეტილება, ეს იყო აბსოლიტურად სწორი ნაბიჯი. იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტს რეალურად არ მიუღია ის სარგებელი, რაც უნდა ჰქონოდა აგრომიმართულებით. რაც შეეხება განყოფილებას, რომლის ანგარიშიც თქვენ მოისმინეთ (ფაქტიურად 6 თვის ანგარიში, რადგან განყოფილება შეიქმნა 2022 წლის ივლისში) უნდა შექმნილ იყო, რადგან ჩვენ გვაქვს სასოფლო ტიპის დასახლებები, ამრიგად, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონოდა აგრომიმართულებით პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული განყოფილების უმთავრესი ამოცანაა, სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ ჩვენი მოქალაქეების კონსულტირება, რაშიც ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული განყოფილების ინიცირებით დაინერგა სამი პროექტი: მერძევეობა-მესაქონლეობა, რომელიც საკრებულოს რეკომენდაციით ამოღებულ იქნა, მაგრამ გვინდა, ისევ დავაბრუნოთ ეს პროექტი, რადგან ჩვენ გვქონდა შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან და გვითხრეს რომ ხობში, სადაც მუნიციპალიტეტი აკეთებს ამის კონტრიბუციას საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ. მეორე არის დაფნის პლანტაციების განაშენიანების ხელშეწყობა და მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევაზე დაფუძნებული ბაზების შექმნა, რომლის მიხედვით განისაზღვრება, სად რა კულტურა შეიძლება გაშენდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ზონალურად დაყოფის რუკის შექმნის შესახებ განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი გიორგი გაწერელია მოახსენებთ."

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების

უფროსმა **განაცხადა:** „იცით, რომ აღნიშნული განყოფილება შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მოსახლეობის ხელშეწყობისთვის. დაგეგმილი გვაქვს დაფნის პლანტაციის განვითარების ხელშეწყობა მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ბენეფიციარები შეირჩევა შესაბამისი კომისიის მიერ, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან არსებულ მდგომარეობას და ამ ადამიანებს აღნიშნული პროექტი 100 % დაუფინანსდებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ოჯახები სოციალური მიმართულების სხვადასხვა პაკეტის მომსახურებით სარგებლობენ და თუ მათ ჩვენი ხელშეწყობით დამატებითი შემოსავალი ექნებათ ესეც მნიშვნელოვანია. ბატონ დავითს მინდა მოვახსენო, რომ ჩვენ შევხვდით სოფელ რიყეში მცხოვრებ მოსახლეობას, მაგრამ იმ ადამიანების სახელი და გვარი ნამდვილად არ მახსოვს. დაგეგმილი გვაქვს ასევე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პროექტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების გეო-საინფორმაციო სისტემის შექმნა ე.წ. აგრარული რუკა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მოგესალმებით მეგობრებო, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული სამსახური ახალი შექმნილია, წარმოდგენილ ანგარიშში მისი ეფექტურობა ნაკლებად აისახებოდა, მაგრამ დებულების მიხედვით დაგეგმილი გექნებათ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და მაინტერესებს, როგორ გაქვთ განსაზღვრული მათი განხორციელება. კერძოდ: საგაზაფხულო საქმიანობის შესასრულებლად სასოფლო სამეურნეო ტექნიკა არის თუ არა რაოდენობრივად აღრიცხული და გამართული. მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიული ორგანოს მიხედვით, სოფლის მეურნეობის დარგის სრული მონიტორინგის თვალსაზრისით რა ღონისძიებები გაატარეთ 6 თვის განმავლობაში. აღნიშნულ განყოფილებას ერთი საინტერესო ვალდებულება აქვს, ვგულისხმობ სოფლის მეურნეობის სათანადოდ მოდერნიზაციის განხორციელებას, ამ მიმართულებით რა ღონისძიებები იქნა გატარებული. მნიშვნელოვანია აგრეთვე, როგორ გაქვთ დაგეგმილი მეცხოველეობის დარგის მდგომარეობის მონიტორინგის და პირუტყვთა პროდუქტიულობის მონაცემების დამუშავება ცალკეული ტერიტორიული ორგანოს მიხედვით. მაინტერესებს რა აქტივობები გქონდათ მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახლების მოძიება-მოპოვების თვალსაზრისით.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „ტექნიკის სტატისტიკა არსებობს და ეს შეადგენს 40 ერთეულს, მაგრამ აქედან რამდენიმე არის გასარემონტებელი. იცით, რომ ახალი ტექნიკის შეძენა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ამის შესაძლებლობა ჯერ არ გვაქვს, საერთო ტექნიკის ბაზის განახლებაზე ვიმუშავეთ გასული წლის შემოდგომაზე. რაც შეეხება მონიტორინგს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ჩატარდა რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩვენ ვთანამშრომლობთ, როგორც თხილის ასოციაციის, ასევე სხვა ასოციაციის წარმომადგენლებთან და არსებული პრობლემები იდენტურია, რასაც სჭირდება შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება, რომელიც განსაზღვრულია და შესაბამის პერიოდში განხორციელდება. მოდერნიზაციის ღონისძიებების გატარება გულისხმობს, სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელშეწყობას, იცით, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც სჭირდება დარეგისტრირება კერძოდ, მერძევეობა-მესაქონლეობის მიმართულებით განყოფილებამ 350 ბენეფიციარს გაუწია კონსულტაცია, დღეს 100 ბენეფიციარია შერჩეული, რომლებმაც ჩვენი დახმარებით გაიარეს შესაბამისი პროცედურები და ბოლო ეტაპზე არიან. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის მონიტორინგს, ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულის მიხედვით დამუშავებულია და გვაქვს გამოკითხვის შესაბამისი დოკუმენტი. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს სახლების მოძიება-მოპოვებას გვქონდა შეხვედრები, გამოიკვეთა ორი

ბენეფიციარი, რომლებსაც აქვთ შენახვის პრობლემა, ვმუშაობთ ამაზე და წელს ვაპირებთ აღნიშნულის მოგვარებას.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „შესაწამლი აპარატები, რომელიც გადაეცით მოსახლეობას არის თუ არა შესაბამისი სამსხურის მიერ გაკონტროლებული, რადგან ზუსტად ვიცი რამდენიმე გაფუჭებულია და ვერ იყენებენ, თანაც მაინტერესებს ვინც ამას იყენებს ისინი არიან თუ არა შესაბამისად გადამზადებული, რომ სწორად მოიხმარონ. აქვე დავამატებ, რომ თხილის კულტურის შეწამვლითი სამუშაოები არაეფექტურია, რადგან შედეგი მოსავალზე არ ასახულა, შესაბამისად გამოსაკვლევია ის თუ რა იწვევს ამ პრობლემას.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ასეთ ფაქტზე, სოციალურად დაუცველი ადამიანების მაგალითი მინდა მოგიყვანოთ, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები აუშენეთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ უვლის და თითქმის განადგურებულია, თუმცა ამაზე ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „თხილის მოსავლის ვარგისიანობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია წამლის ხარისხი და მისი დროულად შეწამვლა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ბატონო გია, დიდ პატივისცემას გამოვხატავ თქვენი პროფესიონალიზმის მიმართ და მოგახსენებთ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აღნიშნული განყოფილების შექმნას საკრებულომ მხარი დაუჭირა, რადგან ყველას გვესმის თუ რა მიზანს ემსახურება ეს განყოფილება და რამდენად აუცილებელია მისი არსებობა ჩვენს მუნიციპალიტეტში. მისასალმებელია, რომ წარმოდგენილი გქონდათ სხვადასხვა აქტივობები, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა გესაუბრათ იმ კონკრეტულ სისტემურ მიდგომებზე და ხედვებზე თუ რას გეგმავთ და ირჩევთ ვალდებულების განსახორციელებლად. ჩემი რეკომენდაცია ეხება მთლიანად სამსახურს, კურატორ ხელმძღვანელს და ზემდგომ ხელმძღვანელობას. ამ კუთხით ბევრი გაქვთ სამუშაო, რომ ეს დოკუმენტურად იყოს წარმოდგენილი და ჩვენ შევძლოთ შესაბამისი დასკვნის გაკეთება. რაც გააკეთეთ ეს დასაფასებელია და ამისთვის მადლობას გიხდით.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „მაინტერესებს არის თუ არა შესწავლილი ფაროსანას შეწამვლა უქმნის თუ არა საფრთხეს ფუტკრის არსებობას.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ შეწამვლას კვლევებზე დაყრდნობით ამბობენ, რომ არ უქმნის საფრთხეს, მეფუტკრეები კი ამტკიცებენ, რომ გარკვეულ წილად უქმნის საფრთხეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოვიყვანეთ ექსპერტები, რომლებსაც კვლევებზე დაყრდნობით უნდა დაედოთ დასკვნა, მაგრამ მეფუტკრეები და სპეციალისტები კვლევების ჩატარების მეთოდზეც ვერ შეჯერდნენ, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი ორად არის გაყოფილი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „პარკინგის თემასთან დაკავშირები, რომელიც დიდი ხანი ქალაქის ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია რა გეგმები გაქვთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, შევხვდით ქალაქ ბათუმში და ქუთაისში ჩვენს კოლეგებს, რომლებთანაც გავიარეთ კონსულტაციები, წამოიჭრა საკითხები, რომლებსაც სჭირდება კომპლექსური გადაწყვეტილების მიღება, აუქციონზე გავიტანთ მაისის თვეში და შედეგები აისახება 2023 წლის ანგარიშში.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: რატომ გაიწელა აუქციონის დრო მაისის თვემდე.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „ბიზნეს აქტივობის თვალსაზრისით გვინდა ვაწარმოოთ სარეკლამო კამპანია და ამიტომ გადავწყვიტეთ მაისის თვეში გავიტანოთ აუქციონზე.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: სოფლებში, სადაც იგება გზები იქ თუ აპირებს მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების დამატებას.

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** აღნიშნული მომსახურეობით სარგებლობს მუნიციპალიტეტში ყველა სოფელი, მაგრამ ითხოვენ დამატებას, მუნიციპალიტეტი ელოდება მიკრო ავტობუსებს, შესაბამისად გარკვეულ სოფლებში მოხდება ჩანაცვლება და წლის ბოლომდე ეს პრობლემაც მოგვარდება. გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ საქართველოს ბანკის ბარათით არის შესაძლებელი, მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხზეც, რომ აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის უფლება სხვა ბანკის ბარათითაც იყოს შესაძლებელი.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „2022 წლის ტრანსპორტის სერვისის საქმიანობას ვაფასებ დადებითად, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ 2021 წელს საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, უბილეთო მგზავრების დაჯარიმებასთან დაკავშირებით, რომელზედაც ვერ მოხდა ტექნიკური უზრუნველყოფა, რაც ძალიან დიდი ხარვეზია. ამით მუნიციპალიტეტმა გარკვეული შემოსავალიც დაკარგა. მოგეხსენებათ, რომ ამ წელს შევიდა ცვლილება კანონში, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება მუნიციპალურ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის რეგულირებაზე, რომელიც გულისხმობს მიკროავტობუსების ლიცენზირებას, მაინტერესებს ამ მიმართულებით რა დაიგეგმა. რაც შეეხება პარკირებას 2021 წლიდან მუნიციპალურ ტრანსპორტს ჰქონდა ვალდებულება, რომ მოეწყო პარკირება, მაგრამ ფაქტია რომ დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „უბილეთო მგზავრების დაჯარიმებასთან დაკავშირებით საქართველოს ბანკის წარმომადგენლებთან გვქონდა სამუშაო შეხვედრა და აპრილის თვეში აღნიშნული საკითხი მოგვარებული იქნება. რაც შეეხება პარკირების თემას მოგეხსენებათ, რომ ბატონი ირაკლი გოგოხიას მერობის პერიოდში დაიდო ხელშეკრულება კომპანია თაუნპარკთან, რომელიც ვერ შესრულდა, შესაბამისად ხელშეკრულება გაუქმდა. აღნიშნულზე კი მიმდინარეობს მსჯელობა, რომ მეიქმნას შპს, რომელიც მოაწესრიგებს პარკინგის საკითხს თუ ეს დავაკისროთ ტრანსპორტის სამსახურს. რაც შეეხება მიკროავტობუსების მარშუტთან დაკავშირებით ჩვენ მოგვეცა მისი რეგულირების უფლება, აქედან გამომდინარე მზადდება შესაბამისი პაკეტი, რომელიც გადმოგეგზავნებათ, რომ საკრებულოს დადგენილების საფუძველზე გამოვაცხადოთ კონკურსი.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა **აღნიშნა:** „მაინტერესებს საპილოტედ შეძენილი ოთხი აპარატი, რომელიც ამოწმებს მგზავრობის საფასურის გადახდას, გაიზარდა თუ არ რაოდენობრივად, რადგან არ იყო საკმარისი.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** სამსახურის მიერ დამატებით კიდევ შეძენილ იქნა ოცდაათი აპარატი.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: სამართლებრივად მოგვარდა თუ არა იმ ორი ავტომობილის საკითხი, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრიისთვის უნდა გადაეცათ.

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: მუნიციპალიტეტის მერია თავისი მანდატის ფარგლებში, გადაწყვეტილებას იღებს, როგორც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ასევე საკრებულოს მიერ შემუშავებულ დადგენილებასა თუ განკარგულებაზე. შესაბამისად არც ერთი ფაქტი სამართლებრივი გადაცდომის ვერ დაფიქსირდება.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მადლობა მინდა ვუთხრა იმ განყოფილების ხელმძღვანელს და მთლიანად გუნდს, რომელმაც 300000 (სამასიათასი) ევროს ოდენობის გრანტი მოიპოვა.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა **აღნიშნა:** „მოგახსენებთ, რომ ფონდების

მოძიების აკადემიაში გავაგზავნეთ განაცხადი, სადაც შეირჩა სულ ოთხი მუნიციპალიტეტი, აქედან ერთ ერთი არის ზუგდიდი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ხუთი თანამშრომელი მიიღებს ცოდნას და გამოცდილებას ევროპის წამყვანი ექსპერტების მიერ, სადაც შეირჩევა ერთი კონკრეტული პროექტი, რომელიც ევროპელ ექსპერტებთან მომზადდება. აღნიშნული პროექტი წლის ბოლოს გაიგზავნება დასაფინასებლად და თუ რა პროექტი იქნება ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. ჩვენი განყოფილების მთავარი ფუნქცია არის საგრანტო დოკუმენტების მომზადება და გადაგზავნა. იცით, რომ 2022 წელს აღნიშნულმა განყოფილებამ პირველ ეტაპზე მიიღო 30 000 (ოცდაათი) ევროს ოდენობის თანხა, რომ დაგვეწერა კულტურის განვითარების სტრატეგია, შემდეგ კი 300 0000 (სამასი ათასი) ევრო, რაც დიდი მონაპოვარია."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „პრივატიზებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი გაქვთ თანხა ოთხი მილიონი ლარის ოდენობით, მაინტერესებს, რატომ გვაქვს ეს მოცულობა თუ შეგიძლიათ რომ ამიხსნათ."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „ეს არის იმის შედეგი, რომ არ გაიყიდა ყველაზე დიდი საპრივატიზაციო ობიექტი სასტუმრო "ოდიში" და ანაკლიაში მდებარე ძველი კულტურის სახლი. M^2-თან დაკავშირებით იცით, რომ კომპანიამ ვალდებულებები ვერ შეასრულა და ფაქტობრივი მდგომარეობა არის ის, რომ 7 200 000 (შვიდი მილიონ ორასი ათასი) ლარი შერჩა მუნიციპალიტეტს, მიწის ნაკვეთიც დავიბრუნეთ და 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების პროექტიც ჩვენია. რაც შეეხება ყინულის მოედანს, კულტურის სამინისტროსგან გვაქვს შემოთავაზება, რომ გაკეთდეს 50-55 მეტრის მარტივი კაპიტალური კონსტრუქცია, რაც მოხსნის ყოველდღიურ ხარჯს და შესაძლებლობას მოგვცემს ჩატარდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ტურნირები. მიმდინარეობს მუშაობა, რომ მუნიციპალიტეტმა გამოაცხადოს პროექტირება, ხოლო აღნიშნულის გაკეთებას ვაპირებთ ყოფილი კომკავშირის პარკის ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან, მოგიწოდებთ მეგობრებო, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში შევაფასოთ დადებითად."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არა აქვთ დამატებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

დავით ვეკუამ კომისიის სხდომა კენჭისყრამდე დატოვა.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

მომხრე: 7 (ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 4 (გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, დარეჯან გაბედავა).

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ" შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
გიორგი სორდია

ხელმოწერილია